

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტი

ფინანსური მენეჯერი:
ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრი
(საქართველო)

პროექტის დასახელება:
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი
მნიშვნელობის მქონე გზების რეაბილიტაციის
პროექტი

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის

შუქრუთი-უსახელო-კორბოულის
საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო
სამუშაოები
(კმ5+100-კმ23+500)

| | |
|---|-----------|
| ზოგადი მიმოხილვა..... | 2 |
| პროექტის ამოცანები..... | 2 |
| არსებული მდგომარეობა | 2 |
| პროექტის აღწერა | 3 |
| კანონმდებლობა და ნორმატივები..... | 3 |
| არსებული გარემო | 4 |
| შესაძლო ზეგავლენა..... | 4 |
| შესაძლო ზეგავლენა – მშენებლობის ფაზა..... | 4 |
| შესაძლო ზეგავლენა – ექსპლუატაციის ფაზა..... | 8 |
| გარემოს მენეჯმენტის გეგმა..... | 9 |
| საჭირო ზომები მშენებლობის ფაზაში..... | 9 |
| მონიტორინგი..... | 13 |
| შესრულების უზრუნველყოფა..... | 14 |
| შესრულების ღირებულება..... | 14 |
| კონსულტაცია | 14 |
| დანართი 1. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა..... | 15 |
| დანართი 2. გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმა..... | 22 |
| დანართი 3. საზოგადოებასთან ჩატარებული კონსულტაციის ოქმი..... | 26 |
| დანართი 4. ნებართვები და ხელშეკრულებები..... | 30 |

ზოგადი მიმოხილვა

პროექტის ამოცანები

შეთავაზებული პროექტი შეესაბამება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს სააავტომობილო გზების დეპარტამენტის პრიორიტეტებს და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის დახმარების სტრატეგიას შემდეგ საკითხებში:

- სოფლის ეკონომიკის სტაბილური ზრდის მხარდაჭერა; დანახარჯების მენეჯმენტის გაუმჯობესება ხარჯების შემცირებითა და საგზაო რესურსების უკეთესი პროგრამირებით;
- ინსტიტუციური შესაძლებლობისა და მართვის გაძლიერება თანამედროვე გზების მართვის სისტემების შემოღების მეშვეობით და სამონაწილო მექანიზმები საგზაო სექტორების პროგრამებისათვის ადგილობრივ დონეზე.

უფრო კონკრეტულად, პროექტი მხარს უჭერს გამოცდილი პროგრამის გამოყენებასა და მის ფართოდ გავრცელებას ადგილობრივი და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებისათვის, რომელიც მოუზადებს საძირკველს უფრო მეტად ექსტენსიურ და ღირებულ პროგრამებს რეგიონებში მისასვლელი გზების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ხარჯების მართვა გაუმჯობესდება მრავალწლიანი გეგმებისა და ეფექტური პროექტების შედეგად.

საგზაო მართვის სისტემები პროექტის საინჟინრო-ეკონომიური პრიორიტეტებისათვის, რომელიც კომბინირებულია საზოგადოების თანამონაწილეობაზე ადგილობრივი გზების ხარჯების დაგეგმვაში, გააუმჯობესებს გზის პროგრამირებასა და დაფინანსებას, ასევე დაეხმარება მონიტორინგს ფულის მიზნობრივად ხარჯვაში. ზემოთაღნიშნულ მოსაწესრიგებელ საკითხებს პროექტი დააწესებს როგორც საგზაო სექტორში წლიური დაგეგმვის ციკლის მუდმივ თვისებას.

არსებული მდგომარეობა

საქართველოს საგზაო ქსელი შედგება საერთაშორისო გზების 1.474 კილომეტრისაგან, რომელიც ითვლება კარგ მდგომარეობაში მყოფ გზებად; შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების 3.392 კილომეტრისაგან, რომელიც მთლიანობაში, ცუდ მდგომარეობაშია და მათი უმეტესობა რეაბილიტაციას საჭიროებს და ადგილობრივი გზების 15.430 კილომეტრისაგან, რომელიც საშუალოდ, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

საგზაო ქსელის ამჟამინდელი ცუდი მდგომარეობა უკანასკნელ დროს იწვევს მოვლა-შენახვის არაადეკვატურ ხარჯებს და წარმოადგენს უმთავრეს ბარიერს განვითარებისათვის, განსაკუთრებით სოფლის ეკონომიკის განვითარებისათვის. საგზაო ქსელის გაუარესება

წარმოადგენს მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ინვესტირებისათვის და უცხოური პირდაპირი ინვესტირების მიღება რთულია, როცა საერთაშორისო ბაზრებთან მისასვლელი პრობლემურია.

წარსულში რთული იყო შესაბამისი თანხების მოძიება, რომელიც სჭირდებოდა შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებს. ამ გზებს დიდ მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობისათვის ძირითად საგზაო ქსელამდე, რაიონულ ცენტრებამდე და სავაჭრო ადგილებამდე მისასვლელად.

ამის შედეგად გაზრდილია შედარებითი და ექსტრემალური სიღარიბის დონე იმ ადგილებში, სადაც მისასვლელი გზართულია. აღნიშნული კრედიტი მხარს უჭერს გამოცდილ პროგრამას დაამყაროს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის ფართო საგზაო ქსელის გაუმჯობესების სწორი პირობები.

პროექტის აღწერა

საავტომობილო გზის შუქრუთი-უსახელო-კორბოული საპროექტო მონაკვეთი იწყება ჭიათურის რაიონის სოფელ შუქრუთის ბოლოდან, კმ 5+100-დან, რომელსაც შეესაბამება კკ 0+00, გაივლის სოფლებს წასრს, უსახელოს და მთაერდება სოფელ კორბოულში კკ 183+95-ზე, სადაც უერთდება გომი – საჩხერე-შუქრუთი-ზესტაფონი საავტომობილო გზას 41-ე კმ-ში. იგი აკავშირებს ჭიათურის დასახლების რაიონების მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს ერთმანეთთან დარაიონულ ცენტრებთან. არსებული გზა ზემოთაღნიშნული სოფლების ფარგლებში გადის მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, ხოლო დანარჩენ ნაწილში დაუსახლებელ მონაკვეთებში. საპროექტო გზა კკ 0+00-დან კკ 150+00-მდე გადის მთაგორიან რელიეფში. კკ 150+00-დან ტრასის ბოლომდე (კკ183+95) გზა გადის ვაკე რელიეფში. საპროექტო გზა გადააკვეთს მდინარე ფრონეს.

კანონმდებლობა და ნორმატივები

პროექტი მიეკუთვნება ბუნებრივი გარემოს შეფასების B კატეგორიას (თანახმად მსოფლიო ბანკის საოპერაციო სახელმძღვანელოს დოკუმენტისა OP 4.01 – ბუნებრივი გარემოს შეფასება). B კატეგორიის შეფასება იკვლევს პროექტის შესაძლო უარყოფით და დადებით ზეგავლენას გარემოზე და იძლევა რეკომენდაციებს იმ საჭირო ზომების მისაღებად, რომელთა შედეგად თავიდან იქნება აცილებული, მინიმუმამდე დაყვანილი, შემსუბუქებული ან ანაზღაურებული მავნე ზეგავლენა და გაუმჯობესდება გარემოს ხარისხი. ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ყველა სახის სამუშაო ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობისა და ყველა იმ ნორმის შესაბამისად, რომლებიც მითითებულია მოცემული პროექტის “სპეციფიკაციებსა და მოთხოვნებში”.

არსებული ბარემო

მდებარეობა – პროექტი უმნიშვნელო გავლენას მოახდენს ამ სოფლების მოსახლეობაზე, რადგან გზის გასწვრივ მცხოვრები ადამიანების მიმოსვლა გარკვეულწილად შეფერხდება სამშენებლო სამუშაოების მსვლელობისას.

ჰაერი – საგზაო მოძრაობის დაბალი ინტენსიობისა და ინდუსტრიული ობიექტების არარსებობის გამო ჰაერის ხარისხის პარამეტრები მაღალია.

წყალი და ნიადაგი – ოფიციალური მონაცემები დაბინძურების შესახებ არ არსებობს.

ფლორა - სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება არსებული გზის ფართობზე არსებული ელემენტების შეცვლის გარეშე (სწორი ხაზები, მრუდეები, სიგანე და ა.შ.). მხოლოდ იმ მონაკვეთებში, სადაც საჭიროა კიუვეტების რეაბილიტაცია ან ხელახალი აშენება, შესაძლოა იყოს უმნიშვნელო რაოდენობის მცენარეები ბუჩქებისა და პატარა ხეების სახით, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს მიმდებარე ტყის ელემენტებად. დაზიანებული ტერიტორიის ფარგლებში არ არის აღმოჩენილი რაიმე იშვიათი სახეობა.

ფაუნა – მშენებლობის განმავლობაში ფაუნაზე ზემოქმედება უცვლელი დარჩება, რაკი სამუშაოები ჩატარდება არსებულ გზაზე. გზას კვეთს რამოდენიმე მდინარე. ამ მონაკვეთებში სამუშაოები შემოსაზღვრება ხიდის ბურჯების რეაბილიტაციით, ნაგვის გატანით ან სხვა სახის ნარჩენებით, რომლებიც წყლის დინებას უშლის ხელს; ამ საქმიანობების შედეგი იქნება პოზიტიური გავლენა არსებულ ფაუნაზე.

ხმაური - ინდუსტრიული ობიექტების უქონლობისა და საგზაო მოძრაობის დაბალი ინტენსიობის გამო მიმდინარე ხმაურის დონე დაბალია.

შესაძლო ზეგავლენა

შესაძლო ზეგავლენა – მშენებლობის ფაზა

მშენებლობასთან დაკავშირებული ზეგავლენა იქნება დროებითი და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუარესება, მისასვლელი გზების დაზიანება, მტვრისა და აირების ემისია, ნიადაგისა და წყლის რესურსების შესაძლო დაბინძურება, მიმდებარე დასახლების მყუდროების დარღვევა მასალის ტრანსპორტირების დროს. კონტრაქტორის საყრდენი ბაზის არსებობა და მოქმედება სამუშაო უბანზე შესაძლოა გახდეს დროებითი უარყოფითი ზეგავლენის კიდევ ერთი პოტენციური წყარო. ეს საკითხი ქვემოთაა განხილული.

სამუშაოები მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში. აღნიშნული სარეაბილიტაციო გზა არ გადის სოფლის სკოლის, ბაგა-ბაღის ამბულატორიისა და პოლიკლინიკის სიახლოვეს. სარემონტო სამუშაოების

მსვლელობა დროებით და უმნიშვნელოდ შეაფერხებს გზის გასწვრივ მცხოვრები ადამიანების მიმოსვლას.

კარიერები და ასფალტის საწარმოები.. დადგენილი მომწოდებლები უზრუნველყოფენ ბუნებრივი მასალისა და ასფალტის მოწოდებას. ამდენად, საჭირო არ იქნება ახალი კარიერების გახსნა ან ასფალტის წარმოება კონტრაქტორის მიერ.

კონტრაქტორის ბაზა სამუშაო უბანზე. კონტრაქტორის ბაზა სათანადოდ მოეწყობა და იფუნქციონირებს ისე, რომ მისმა ადგილმდებარეობამ, ნაგვისა და საკანალიზაციო ნარჩენების წარმოქმნამ, მანქანა-დანადგარების საწვავითა და საპოხი საშუალებებით გამართვამ არ გამოიწვიოს დროებითი უარყოფითი შედეგები.

დაბინძურებასთან დაკავშირებული ზეგავლენა

სამშენებლო მასალისა და ნარჩენების არასათანადო გადაზიდვამ, შენახვამ, გამოყენებამ და გადაცემამ შესაძლოა გამოიწვიოს წყლის/ნიადაგის დაბინძურება სამშენებლო ობიექტსა და შემნახველ უბანზე. აღჭურვილობის არასათანადო შენახვა და საწვავით ავსება ასევე შეიძლება გახდეს ნიადაგის/წყლის დაბინძურების მიზეზი.

ნიადაგის დაბინძურება. ნიადაგის დაბინძურებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ ცალკეულ ადგილებში, სადაც მდებარეობს აღჭურვილობა, საგზაო სამუშაოების დროს და ტრანსპორტის სადგომ ტერიტორიებზე. შესაძლო დაბინძურებას იწვევს (სია არ არის ყოველსომომცველი):

- დიზელის საწვავი, საპოხი ზეთები და ჰიდრაულიკური სითხეები და ა.შ. სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობები;
- სხვადასხვა სამშენებლო მასალა (მაგ. ცემენტი და ბეტონი);
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი ნივთები, ქვები და ღორღი, ცემენტისა და ბეტონის ნარჩენები, ფიცრები და ა.შ.);
- შედარებით მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენები (მაგ. ნარჩენი ზეთები, ზეთიანი ჩვრები, ნახშირი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.) რომელიც შეადგენს მთლიანი ნარჩენების მოცულობის 0.1%-ს;
- ნავთობპროდუქტების შემთხვევითი დაღვრა სამუშაო უბანზე.

წყლის დაბინძურება. წყლის დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა მიზეზმა. ზოგიერთი მათგანი მოცემულია ქვემოთ:

- საწვავის დაღვრა, ზეთი ან სხვა სახიფათო ნივთიერება, განსაკუთრებით საწვავის ავსების დროს;
- წარმოქმნილი სიბინძურე სატრანსპორტო საშუალების ან აღჭურვილობის რეცხვისას;
- დაბინძურებული მიწისა და გრუნტის წყლების ზემოქმედება;
- წვიმის მიერ მტვრისა და სამშენებლო მასალის ჩარეცხვა წყლის დინებაში.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური. გზის რეაბილიტაციისას წარმოქმნილი გამონაბოლქვი ძირითადად დაკავშირებულია მიწის სამუშაოებთან სხვა მასალით ოპერირებასთან და თავად სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან. მტვრის წარმოქმნა შესაძლოა დღიდან დღემდე იცვლებოდეს, რაც დამოკიდებულია სამუშაოს ინტენსივობაზე, სპეციფიურ ოპერაციებზე და მეტეოროლოგიურ პირობებზე. აღჭურვილობის ტრანსპორტირება და სატვირთო ავტომობილების გადაადგილება სამუშაო უბანზე იწვევს ამ ემისიების მნიშვნელოვან ნაწილს.

სამშენებლო სამუშაოების დროებითი ბუნება განასხვავებს მათ მტვრის სხვა, არაპირდაპირი წყაროებისაგან შეფასებისა და ემისიის კონტროლის თვალსაზრისით. დამაბინძურებელი ნივთიერებები ხასიათდება ემისიებით, რომელიც ტიპურია შიდაწვის ძრავებისათვის და სატრანსპორტო საშუალებებისათვის. ემისიები შეიცვლება სამუშაოთა ინტენსივობის მიხედვით და განსაკუთრებით დამოკიდებული იქნება იმ ქმედებებზე, რომლებიც იცვალება დღიდან დღემდე და/ან სამუშაოთა ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას.

ასე რომ, შესაძლო ზეგავლენა იქნება მინიმალური და დამოკიდებული მძიმე დანადგარების მუშაობასა და მასალის ტრანსპორტირებაზე. კერძოდ:

- ხმაური და ვიბრაცია წარმოქმნილი მძიმე მოწყობილობებისაგან და სატვირთო მანქანებისაგან;
- ჰაერის დაბინძურება (სატრანსპორტო საშუალებებისაგან, ბუდლოზერებისაგან, ექსკავატორებისაგან და ა.შ.);
- მტვერი (სატრანსპორტო საშუალებებისაგან);
- გამონაბოლქვი სატრანსპორტო საშუალებებისაგან, რომელთაც გადააქვთ სამშენებლო მასალა.

მშენებლობასთან დაკავშირებული ნარჩენები

ინერტული სამშენებლო ნარჩენები. მოსალოდნელია, რომ სხვადასხვა საქმიანობისაგან წარმოიშვას შემდეგი ტიპის ინერტული ნარჩენები:

- ბუნებრივი მასალა (მიწა და ქვა);
- დაბინძურებული ნიადაგი.

უვნებელი სამშენებლო ნარჩენები. ძირითადი არასახიფათო სამშენებლო ნარჩენების ტიპები მოკლედ არის მოცემული:

- ხე-ტყის მასალა (ამოძირკეული ხეები და ბუჩქები);
- ლითონი (ჯართისა და მავთულების ჩათვლით) – მოსალოდნელია ლითონის ნარჩენების უმნიშვნელო რაოდენობა

მავნე სამშენებლო ნარჩენები. სახიფათო ნარჩენების მცირე რაოდენობა შესაძლოა წარმოიშვას სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის საქმიანობების დროს. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი ტიპის სახიფათო ნარჩენები:

- თხევადი საწვავი;
- საპოხი ნივთიერება, ჰიდრაულიკური ზეთები;
- ქიმიური ნივთიერებები, როგორცაა ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- დენადობის კონტროლი მასალაზე, რომელიც გამოიყენება ზეთების შესასრუტად და ქიმიური ნივთიერებები;
- მანქანების/ძრავების ფილტრების ვაზნები;
- ზეთიანი ჩვრები, ნახშირი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.

მავენე ნარჩენები მოსალოდნელია შეადგენდეს მთლიანი ნარჩენების 0.01%-ს და ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით (შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანება №36/N, დათარიღებული 24.02.2003) შესაძლოა იქნას გატანილი მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

| შესასრულებელი სამუშაოები | ერთეული | რაოდენობა | ტონა |
|--|---------|-----------|---------------|
| არსებული კიუვეტები | გმ | 4,600 | 1 |
| ახალი კიუვეტები | გმ | 9,300 | 7 |
| არსებული მილების გაწმენდა | კუბ.მ | 32 | 58 |
| ახალი წყალგამტარი მილები | გმ | 36 | 329 |
| ორმოები | კვ.მ | 0 | 0 |
| ახალი საფუძვლის ფენა | კუბ.მ | 14,428 | 29 |
| საცვეთი ფენა | ტნ | 0 | 0 |
| ზედაპირული დამუშავება | კვ.მ | 66,500 | 2 |
| სამუშაოთა მთლიანი რაოდენობა | | | 39.32 |
| ნარჩენების მთლიანი რაოდენობა (1%) | | | 393.00 |
| ნარჩენების თვითური რაოდენობა | | | 33.00 |
| ინერტული სამშენებლო ნარჩენები | | | 392.00 |
| არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები | | | 0,790 |
| სახიფათო სამშენებლო ნარჩენები | | | 0.24 |

ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ზეგავლენა შეიცავს: ხმაურსა და ვიბრაციას; საგზაო მოძრაობის გადატვირთვას (წესრიგის დარღვევა); ჰაერის დაბინძურებას; ტალახს გზებზე; საწვავის დაღვრას, მოვლა-შენახვისა და ტრანსპორტის გაწმენდასა და მასთან დაკავშირებულ ნიადაგისა და წყლის დაბინძურების რისკს.

ფლორა. მოსალოდნელია, რომ შესაძლო ზეგავლენა იქნება მინიმალური, თუმცა პროექტის დიზაინი ითვალისწინებს სამშენებლო უბნის გაწმენდას ბუჩქებისაგან.

ფაუნა. მოსალოდნელია, რომ შესაძლო ზეგავლენა იქნება მინიმალური და დაკავშირებული იქნება მდინარის შესაძლო დაბინძურებასთან და დანაგვიანებასთან საწვავისა და ნარჩენების არასათანადო მართვის გამო.

ლანდშაფტი. პროექტის დიზაინი არ ითვალისწინებს ლანდშაფტის რაიმე სახის ცვლილებას.

მოძრაობის დარღვევა. სამშენებლო საგზაო მოძრაობის ზეგავლენას იქონიებს ადგილობრივ საგზაო მოძრაობაზე და შეიზღუდება მისასვლელი იმ მონაკვეთთან, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები.

უსაფრთხოება და მისაღობობა. სამშენებლო სამუშაოების მიმდებარე ტერიტორიებთან მისვლა შეიზღუდება სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა დაზიანების თავიდან აცილების მიზნით. ფეხმავალთა და მძღოლთა საყურადღებოდ განთავსდება გამაფრთხილებელი და ღროებითი შემოვლითი მარშრუტების მიმართებელი აბრები.

ჯიხურები და ადგილობრივი სამეწარმეო ობიექტები. გზის გასწვრივ მდებარე სავაჭრო ჯიხურებთან და სხვა დანიშნულების ადგილობრივ სამეწარმეო ობიექტებთან მისასვლელი შესაძლოა ღროებით შეიზღუდოს გზის რეაბილიტაციის დროს.

შესაძლო ზეგავლენა – ექსპლუატაციის ფაზა

ზოგადად პროექტი მოახდენს პოზიტიურ ზეგავლენას გარემო პირობებზე და გააუმჯობესებს ადგილობრივი საგზაო მოძრაობის პირობებს.

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა მომზადდა იმ მიზნით, რომ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ პროექტთან, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემარბილებელი ღონისძიებების შეჯამება მოცემულია დანართში 1 და ქვემოთაა განხილული.

საჭირო ზომები მშენებლობის ფაზაში

სამშენებლო ობიექტის მენეჯმენტი

მშენებლობის ფაზაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი სახის ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამუშაო უბნის სათანადო მართვა:

- სამუშაო უბნის საზღვრების მონიშვნა, რათა აიკრძალოს სამშენებლო ტერიტორიასთან მიახლოება;
- მაქსიმალურად პრაქტიკულად იქნას გამოყენებული არსებული გზა სამუშაო უბანთან მისასვლელად სამშენებლო ტრანსპორტის მიერ (სატრანსპორტო საშუალებები, რომელთაც გადააქვთ მასალა და აღჭურვილობა);
- სამშენებლო მასალების ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე დაყვანა სამუშაო განრიგის მომზადებით, რომელიც არკვევს მანქანების მართვის დროის დადგენას და სამშენებლო მასალის დაგებას, რომელიც მომზადდა სამუშაო უბნის გარეთ (ბეტონი, ასფალტის ნარევი) იმის სარწმუნოდ, რომ მათი წარმოება ეთანხმება სამშენებლო საქმიანობებს.
- სადაზღვევო აღჭურვილობა და სამუშაო უბნისათვის საჭირო სხვა საშუალებები;
- საჭირო აღჭურვილობისა და საშუალებების მოწოდება იმის სარწმუნოდ, რომ სამუშაოები იმართება სათანადოდ.

მასალის მენეჯმენტი

გზის მონაკვეთის მშენებლობის დროს ძირითადად გამოყენებული იქნება შემდეგი სახის მასალა:

- ადგილობრივი მასალა (ღორღი, ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი და ა.შ.)
- სამშენებლო მასალა (ცემენტი, ბიტუმი და ა.შ.)
- დამატებითი მასალა (საწვავი, საპოხი ზეთები და ა.შ...)

მასალის სათანადო მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის ზომები:

- ხარისხთან დაკავშირებით: ქარხნიდან უზრუნველყოფილი იქნება ხარისხის მაჩვენებელი სერთიფიკატი ყველა სახის სამშენებლო მასალაზე. ადგილობრივი მასალის დამახასიათებელი თვისებები განისაზღვრება სამშენებლო ობიექტის ლაბორატორიაში.

- მასალის მოწოდებასთან დაკავშირებით: ობიექტზე მოწოდებული მასალა შემდეგნაირად შემოწმდება:
 - მოწოდებული რაოდენობების გადასინჯვა ხარისხის სერთიფიკატის მიხედვით.
 - მოწოდებული მასალის აწონვა.
 - მოწოდებული მასალის შემთხვევითი (ალაღბედზე) შემოწმებები.
- ტრანსპორტირების პირობებთან დაკავშირებით: ყველა სახის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საჭიროა სამშენებლო მასალის გადაზიდვებისათვის, უნდა დაიფაროს ბრეზენტით, იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული რაიმე სახის დანაკარგი.
- ტრანსპორტირებული მასალის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით: ტრანსპორტირებული მასალის რაოდენობა სისტემატიურად შემოწმდება, რათა თავიდან იქნას აცილებული რაიმე სახის დანაკარგი.
- ობიექტზე გამოსაყენებელი მასალის მექანიკურ მანიპულაციასთან დაკავშირებით: სათანადო აღჭურვილობა, როგორცაა სატვირთო მანქანები, ამწე კრანები, კრანები და ა.შ. იქნება გამოყენებული იმისათვის, რათა სარწმუნო იყოს მასალის სათანადო მართვა.
- მასალის მოპყრობასთან დაკავშირებით: დაქირავებული მუშახელი სათანადოდ მომზადდება და უზრუნველყოფილი იქნება ყველა სახის დამცავი მასალით, რომელიც საჭიროა მასალის გადაზიდვის, ტვირთისა და გადმოტვირთვის ოპერაციებისათვის,
- სამუშაო ეზოს სისუფთავესთან დაკავშირებით: სამუშაო ეზო უნდა იქნას შენახული სუფთა მდგომარეობაში. მიწა დაიფარება წვრილმარცვლოვანი ღორღის ფენით.
- მტვერთან დაკავშირებით: გზის დევიაციები, კარიერები და გზის მშენებლობის ადგილები პერიოდულად მოირწყება მტვრის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად.

საგზაო მოძრაობა ობიექტის ტერიტორიაზე

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, გენერალური კონტრაქტორი პასუხისმგებელია ბიზნეს გეგმის დაწესებაზე, რომელიც მოიცავს: სამუშაო უბნებისა და ბაზების ადგილმდებარეობას, მოწოდების წყაროებს ყველა სახის ბუნებრივ მასალაზე, ცემენტობეტონის, ცემენტის ხსნარისა და ასფალტის მოწოდებლების ადგილმდებარეობას.

საგზაო მოძრაობა ობიექტის ტერიტორიაზე მოიცავს სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებას, ნარჩენების ტრანსპორტირებას მშენებლობის ფაზაში, ისევე როგორც სხვა მასთან დაკავშირებული საქმიანობები: საწვავის/საპოხი ზეთების ტრანსპორტირება, სასმელი წყლისა და საკვების ტრანსპორტირება სამშენებლო გუნდისათვის, პერსონალის ტანსპორტირება და ა.შ.

კონტრაქტორმა უნდა განიხილოს, დაადგინოს და დაარეგულიროს საგზაო მოძრაობა ობიექტის ტერიტორიაზე, რათა გაუმჯობესდეს შემდეგი ელემენტები და მინიმუმამდე დაიყვანოს მათი ზეგავლენა გარემოზე:

- მასალის რაოდენობა, რომელიც საჭიროებს ტრანსპორტირებას სამუშაო უბნის ტერიტორიაზე;
- მასალის ტიპები, რომელიც უნდა იქნას ტრანსპორტირებული: ღორღი, ცემენტი, ცემენტობეტონი, ბიტუმიური ემულსია, ასფალტბეტონი, წინასწარდამზადებული ელემენტები და ა.შ.;
- სატრანსპორტო საშუალებების ტიპები, როგორც შესაძლებელია და სპეციფიური საწვავის მოხმარება;
- სამუშაოების შესრულების კალენდარული გრაფიკის დადგენა სხვადასხვა სამუშაო ტიპებზე;
- საგზაო მოძრაობის საშუალო სიჩქარე 25-30 კმ/სთ;
- დატვირთვა/ჩამოტვირთვის პერიოდებს სჭირდებათ: 10-30 წუთი.

ეს საშუალებას მისცემს კონტრაქტორს დაგეგმოს:

- განსაზღვრული ტრანსპორტის ტიპი განსაზღვრული მასალის ტრანსპორტირებისათვის;
- სატრანსპორტო საშუალებების რიცხვი სპეციფიური მასალისათვის;
- მაქსიმალური მანძილი სატვირთო ადგილებსა და სამუშაო ფრონტს შორის (მისასვლელ გზებზე და სამუშაო უბნის შიგნით);
- განვლილი კილომეტრების მთლიანი რაოდენობა;
- საწვავის მოხმარების ინტენსიურობა.

საგზაო მოძრაობის მენეჯმენტის გეგმა უნდა იქნას განვითარებული სამშენებლო კონტრაქტორების მიერ, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ნეგატიური ზეგავლენა ადგილობრივ საგზაო მოძრაობაზე, მოსახლეობასა და მუშახელზე.

კონტრაქტორის ბაზის მართვა სამშენებლო ობიექტზე

კონტრაქტორი მოამზადებს გეგმებს, რომელიც აღნიშნავს მისი ბაზის ადგილმდებარეობას სამშენებლო ობიექტზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი განლაგების უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე. კონტრაქტორის ბაზა სამუშაო ობიექტზე უნდა შეესაბამებოდეს ამ პროექტის “სპეციფიკაციებსა და მოთხოვნებს”. კონტრაქტორმა ასევე უნდა დაგეგმოს საკანალიზაციო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა, შეარჩიოს და დაადგინოს სამშენებლო ტექნიკისა და ტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და საწვავით გამართვისთვის სათანადო ადგილი და წესები.

წყლის ნაკადის დაცვა

სამშენებლო მასალის მიზიდვა და განლაგება სამუშაო უბანზე საქმიანობის მუდმივი და განუყოფელი ნაწილია. შედარებით მძიმე მასალა შესაძლოა გადარეცხილი იყოს უბნიდან წვიმის წყლით და

წერილობრივი ფრაქციები შესაძლოა გავრცელდეს და დაილექოს მიმდებარე ტერიტორიაზე. ადგილობრივი ტერიტორიის მორფოლოგია დიდ გავლენას ახდენს დამაბინძურებელი ნაწილაკების გავრცელებაზე. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ასეთი სახის დაბინძურება, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მასალის შესანახი პლათფორმები, რომელთაც გარშემო ექნებათ დამცავი კედლები სამშენებლო მასალის შესანახად სამუშაო ფართობზე.

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სამუშაო უბანზე გამოყენებული ბიოგენური, ორგანული და ტოქსიკური ნივთიერებების შემთხვევითი დაღვრა ან გაუონვა, კონტრაქტორმა უნდა: მოამზადოს სასწრაფო რეაგირების გეგმა ნებისმიერი სახის შემთხვევითი დაღვრის ან გაუონვის წინააღმდეგ; გასცეს ბრძანება გაირეცხოს აღჭურვილობა მისი გამოყენების შემდეგ.

კონტრაქტორმა თავიდან უნდა აიცილოს წყლის ნაკადისა და სიღრმის ცვლილება, რასაც შესაძლოა ადგილი ქონდეს ფსკერის გათხრის, ან ფსკერზე სამშენებლო მასალისა და ბალასტის მოხვედრის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ აკრძალულია ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება მდინარის კალაპოტში, რომელთაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინონ წყლის ნაკადზე.

ჰაერის ხარისხი და ხმაურისგან დაცვა

ზეგავლენაი ყველაზე მეტად მოსალოდნელია მოხრეშვის სამუშაოების დროს, იმის გამო, რომ ეს მასალა შეიცავს დიდი რაოდენობით მტვერს. მიღებული იქნება საჭირო ზომები იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ხმაურის მისაღები დონე, სამუშაო საათების შემცირებისა და აღჭურვილობის მოვლა-შენახვის ჩათვლით.

ნიადაგისა და მისი ქვედა ფენების დაცვა

თუ სამშენებლო სამუშაოები ჩატარებული იქნება მაღალ დონეზე, მოსალოდნელია ნიადაგის დაბინძურების შედარებით დაბალი შესაძლებლობა. სასწრაფო რეაგირების გეგმა იქნება შედგენილი ადგილზე იმისათვის, რომ ჩატარებულ იქნას შესაბამისი პროცედურები შემთხვევითი გაუონვის ინციდენტის დროს, უბნის გაწმენდისა და დაბინძურებული მასალის გატანის ჩათვლით.

სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის მართვა

ჯიხურების/ხის დახლების (ადგილობრივი სოფლის პროდუქტებისა და ხორცის გასაყიდად) საქმიანობა შესაძლოა შეიზღუდოს სამშენებლო სამუშაოს წარმოებისას. ამ შემთხვევაში კონტრაქტორმა მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს მოვაჭრეებს მათი ჯიხურების/ხის დახლების გადატანით სამშენებლო ადგილისგან მოშორებით.

მონიტორინგი

მონიტორინგის გეგმა მოცემული პროექტისათვის შეჯამებულია დანართში 2. მონიტორინგის ზომები შეიცავს ობიექტის ზედამხედველობას, ნებართვების არსებობის შემოწმებას, კონტრაქტორის მიერ დადგენილი წესების დაცვის კონტროლს და გარემოზე ზეგავლენის ისეთი ფაქტორების აღრიცხვას, როგორცაა: ხმაური, მტვერი, გამონაბოლქვი, ნიადაგისა და წყლის დაბინძურება და სხვა.

შესრულების უზრუნველყოფა

საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს დაცვის სპეციალისტებმა თვალყური უნდა ადევნონ მოცემული გარემოს მენეჯმენტის გეგმის შესრულებას. მათ უნდა იმუშაონ საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონულ ოფისებთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამუშაოები დადგენილი წესით მიმდინარეობდეს და მათ შესახებ კონსულტაციები წამოებდეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შექმნა საზედამხედველო ჯგუფი (პროექტის დოკუმენტაციაში წოდებული, როგორც პროექტის მენეჯერი) რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მშენებლობის შესრულებას. გმგ-ს კოორდინირებასა და შესრულებაზე პასუხისმგებელი იქნება პროექტის მენეჯერი, რომელიც ასევე პასუხს აგებს იმაზე, რომ:

- (i) დაცული იქნება საქართველოს გარემოს დაცვითი კანონმდებლობა;
- (ii) საჭიროების შემთხვევაში მიღებულია იქნება გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
- (iii) ნარჩენები გადატანილი იქნება ლიცენზირებულ ნაგავსაყრელზე;
- (iv) დაცული იქნება სხვა ნებისმიერი მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ და შეთანხმებულია პროექტის აღმასრულებელ ჯგუფთან;
- (v) შესრულდება გარემოს მენეჯმენტისა და მონიტორინგის გეგმები.

პროექტის მენეჯერის უნარი გააკონტროლოს წარმოებული საქმიანობის შესაბამისობა გარემოს დაცვისთვის დაწესებულ ღონისძიებებთან მიხნულია დამაკმაყოფილებლად.

შესრულების ღირებულება

მშენებლობასთან დაკავშირებული გარემოს დაცვითი ღონისძიებების ღირებულება შევა სამშენებლო კონტრაქტში.

კონსულტაცია

კონსულტაციის შემდგომ წინამდებარე დოკუმენტს დაერთვება მისი ოქმი, რომელშიც ასახული იქნება, თუ სად და როდის მოხდა კონსულტაცია, ვინ ჩაატარა იგი, რა საკითხები წამოიჭრა და როგორ გადაიჭრა ისინი. ოქმი გახდება წინამდებარე დოკუმენტის დანართი 4.

დანართი 1. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

| საქმიანობა | შესაძლო ზეგავლენა | შემარბილებელი ზომები | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა | |
|------------|--|---|------------------------------|--|
| | | | შემსრულებელი | მონიტორი |
| მშენებლობა | კონტრაქტორის ბაზა სამუშაო უბანზე | კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს სამუშაო უბნის გეგმა საავტომობილო გზების დეპარტამენტს დასამტკიცებლად, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი სარეზერვო გზებისა და ქვის სამტეხლოების გამოყენება; ასევე განსაზღვრული ადგილები ბეტონისა და ასფალტის ნარეგებისათვის. კონტრაქტორი პასუხს აგებს ამ გეგმის შესრულებაზე. | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| | კონტრაქტორის /მუშახელის ბაზა სამუშაო უბანზე – ნიადაგისა და წყლის დაბინძურება | <p>საავტომობილო გზების დეპარტამენტს წარუდგინოს შემდეგი გეგმა სამუშაო უბნის მოწყობამდე და შესასრულებელი რეზერვები შემდეგზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • კონტრაქტორის ბაზის მოწყობა სამუშაო უბანზე და შეთავაზებული მისაღები ზომების დეტალები გარემოს უარყოფითი ზეგავლენების თავიდან აცილების მიზნით, რომელიც წარმოიქმნა მისი დამონტაჟებით; • კანალიზაციის მენეჯმენტის გეგმა სანიტარული საშუალებების უზრუნველსაყოფად და კანალიზაციის წყლების სათანადო მოგროვება, მათი გატანის სისტემები წყლის დინებების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით; • ნარჩენების მენეჯმენტის გეგმა მოიცავს სანაგვე ყუთების მოწოდებას, ნარჩენების რეგულარულ მოგროვებასა და გატანას ჰიგიენური გზით, ისევე როგორც შეთავაზებულ ნაყარ ადგილს სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისათვის (მაგ. საყოფაცხოვრებო ნაგავი, ნახმარი მავთულები და ა.შ.) რომელიც დარეგულირდება შესაბამისი წესდებით. უნდა ჩატარდეს კონსულტაციები გარემოს დაცვის სამინისტროსთან დამტკიცებული ნაყარი ადგილების შესახებ; • საწვავისა და ქიმიური ნივთიერებების შესანახი ადგილები განთავსდება წყლის რესურსებიდან მოშორებით. ასეთი | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |

| საქმიანობა | შესაძლო ზეგავლენა | შემარბილებელი ზომები | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა | |
|------------|---|--|------------------------------|--|
| | | | შემსრულებელი | მონიტორი |
| | | ადგილებზე დაიფინება გაუმტარი საფარი ან ქვიშის (ღორღის) ფენა წყლისა და ნიადაგის დაბინძურების თავიდან ასარიდებლად. | | |
| | კონკურენცია წყლის რესურსებისთვის | კონტრაქტორის ბაზის დადგამდე სამუშაო უბანზე უნდა მოხდეს კონსულტაციები ადგილობრივ წარმომადგენლობასთან წყლის რესურსების დასაზუსტებლად, რათა ამან ხელი არ შეუშალოს მოსახლეობას. | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| | ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (კონტრაქტორის ბაზა სამუშაო უბანზე და სამშენებლო ტერიტორია) | <p>უზრუნველყოფილი იქნას შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისი ჯანდაცვის საშუალებები (პირველადი დახმარების საშუალებების ჩათვლით) სამშენებლო უბნებზე; • ყველა მშენებელი მუშახელის ტრენინგები ძირითად სანიტარულ და ჯანდაცვის საკითხებში, ზოგადი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებში და მათი სამუშაოს სპეციფიური საფრთხის შესახებ; • ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა მუშახელისათვის, როგორცაა დამცავი ტანსაცმელი, უსაფრთხო ჩექმები, ჩაჩქანები, რესპირატორები, ხელთათმანები; • სუფთა სასმელი წყალი ყველა მუშახელს; • ზოგადად მოსახლეობის ადეკვატური დაცვა, უსაფრთხოების ბარიერები და სახიფათო ადგილების მონიშვნა; • უსაფრთხო მისასვლელი სამშენებლო უბნის გასწვრივ იმ ხალხისათვის, ვისთვისაც გართულებულია სახლამდე მისვლა საგზაო მშენებლობის გამო; • შესაბამისი დრენაჟირება სამუშაო უბანზე კონტრაქტორის ბაზის გასწვრივ იმისათვის, რომ არ წარმოიშვას დაგუბებული წყალი და ტალახი; • სანიტარული საშუალებები და სანაგვე ყუთები სამშენებლო უბანზე, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება კონტრაქტორების მითითებების საფუძველზე, რათა არ წარმოიშვას დაავადების გავრცელების საშიშროება. სადაც | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |

| საქმიანობა | შესაძლო ზეგავლენა | შემარბილებელი ზომები | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა | |
|------------|--|--|------------------------------|--|
| | | | შემსრულებელი | მონიტორი |
| | | <p>დასაშვებია, კონტრაქტორმა უნდა მოაწიოს ნაგვის მოგროვების დროებითი ინტეგრაცია სამუშაო უბნებიდან არსებულ ნაგვის მოსაგროვებელ სისტემებში და მახლობელი მოსახლეობის ნაგვის გამტან საშუალებებზე;</p> <ul style="list-style-type: none"> • უბანზე მუშახელისათვის უნდა იქნას უზრუნველ-ყოფილი მობილური საპირფარეშოები ქიმიური საშუალებებით. | | |
| | ჰაერის დაბინძურება მშენებლობის დროს | <ul style="list-style-type: none"> • აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები პერიოდულად შემოწმდება კარბონმონოქსიდისა და გაზის გამოყოფის კონცენტრაციის მიხედვით. • უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ დიზელის საწვავის აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც არ წარმოქმნიან ტყვიის ემისიას და წარმოქმნიან კარბონმონოქსიდის ძალიან დაბალ კონცენტრაციას. • სამშენებლო აღჭურვილობის მოვლა-შენახვა კარგ სტანდარტებში და რამდენადაც შესაძლებელია, ძრავების უმოქმედობის თავიდან აცილება. • ისეთი სახის მოწობილობებისა და აღჭურვილობის აკრძალვა, რომლებიც იწვევენ გადამეტებულ დაბინძურებას (მაგ. ხმაური, ხილული კვამლი, დენადობა). | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| | ნიადაგის/წყლის დაბინძურების თავიდან აცილება მშენებლობის დროს | <ul style="list-style-type: none"> • საწვავის მოწოდება უნდა მოხდეს მხოლოდ სპეციალიზირებული გაზგასამართი სადგურებიდან; უძრავი აღჭურვილობისათვის საწვავით მომარაგება მოხდება საწვავის გადამზიდი მანქანებით ისეთ ადგილებში, სადაც არ არის მტვერი. • სამუშაო პლათფორმები უნდა იქნას შენარჩუნებული სუფთად ყოველდღიური გასუფთავებითა და გარეცხვით. • უნდა მოხდეს არხების გაწმენდა მთელი სამშენებლო პერიოდის განმავლობაში. • საწვავისა და ქიმიური ნივთიერებების შესანახ ადგილებში დაგენილი უნდა იქნას გაუმტარი საფარი ან ქვიშის (ხრეშის) ფენა იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნიადაგისა | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |

| საქმიანობა | შესაძლო ზეგავლენა | შემარბილებელი ზომები | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა | |
|------------|----------------------------------|--|------------------------------|--|
| | | | შემსრულებელი | მონიტორი |
| | | <p>და წყლის დაბინძურება.</p> <ul style="list-style-type: none"> სამშენებლო ნარჩენებისა და ნაგვის გატანა უნდა მოხდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებულ ადგილებში, გარემოს დაცვის სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად. დაუშვებელია რაიმე სახის ნარცენების განთავსება დაწაობებულ ადგილებში, ნებისმიერ წყალსატევში ან მათ სიახლოვეს. სამშენებლო მასალის შესანახად უზრუნველყოფილ იქნას გადამტანი პლათფორმები, რომელიც გარშემორტყმული იქნება დამცავი კედლებით. მომზადდეს სასწრაფო საპასუხისმგებლო გეგმა ნებისმიერი შემთხვევითი გაუონვებისა და დაღვრების წინააღმდეგ. და აუცილებლად გაირეცხოს აღჭირვილობა მათი გამოყენების შემდეგ. თავიდან იქნას აცილებული ცვლილებები წყლის დინებასა და სიღრმეში სამშენებლო მასალის ჩაყრით წყლის ფსკერზე. | | |
| | ობიექტის მართვა მშენებლობის დროს | <ul style="list-style-type: none"> კვირის დასასრულისათვის, სულ ცოტა, 2 საათით შედგება მოხსენება სამუშაო ფართზე, მას შემდეგ, რაც ყველა სახის ნარჩენები იქნება გატანილი. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ვიზუალური ზეგავლენა, პროექტისათვის გამოყოფილი დრო უნდა იქნას მითითებული ბანერებზე და მიღებული იქნება ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ სამუშაოები დასრულდეს მაქსიმალურად სწრაფად. | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| | საგზაო მოძრაობის მენეჯმენტი | <ul style="list-style-type: none"> მობილიზაციის დაწყებამდე საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და ადგილობრივ მთავრობას წარედგინოს საგზაო მოძრაობის მენეჯმენტის გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გამაფრთხილებელ ნიშნებს. ადეკვატური სიგნალიზაციის უზრუნველყოფა, შესაბამისი განათება, კარგად დაპროექტებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ნიშნები და ბარიერები მოძრაობის | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |

| საქმიანობა | შესაძლო ზეგავლენა | შემარბილებელი ზომები | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა | |
|------------|--|---|------------------------------|--|
| | | | შემსრულებელი | მონიტორი |
| | | <p>გასაკონტროლებლად. კვალიფიციური პერსონალი ერთ სამოძრაო ზოლზე უხელმძღვანელებს საგზაო მოძრაობას.</p> <ul style="list-style-type: none"> • სამუშაო ფართის გამოყოფა დანარჩენი ტერიტორიიდან ფორთოხლისფერი პლასტმასის ქამრების რეფლექტორებით იმისათვის, რომ მომუშავეთა პასუხის-მგებლობა იქნას დაზღვეული. • მობილური ბანერები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას პროექტის შესახებ საკონტაქტო პიროვნების ტელეფონის ნომრის ჩათვლით, მონიშნავენ სამშენებლო ტერიტორიას. • მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება სამშენებლო სამუშაოების განრიგსა და თვალსაზრისებთან დაკავშირებით და მოსალოდნელი შეფერხებები და მისასვლელების გამკაცრება • ადეკვატური საგზაო მოძრაობის ნების დართვა სამშენებლო ტერიტორიის გარშემო. | | |
| | მტვრის ემისა გზის მიმდებარე ტერიტორიაზე | წყლის რეგულარული მოსხმა გზებზე, რათა შემცირდეს მტვერი, განსაკუთრებით დასახლებულ მონაკვეთებში. | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| | მასალის მენეჯმენტი | <p>მასალა, რომელიც გამოიყენება სამშენებლო სამუშაოებში და მათი შენახვის პირობები უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნებს.</p> <p>ყველა სახის მასალა, რომელიც შემოდის სამშენებლო ტერიტორიაზე, უნდა იქნას შემოწმებული ხარისხისა და შესაბამისობის სერთიფიკატების მიხედვით.</p> | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| | მიმდებარე დასახლების შეწუხება ხმაურის მაღალი დონით | შემოიფარგლოს სამუშაოები 06:00-21:00 საათებში დასახლებებიდან 500 მ-ში. სამშენებლო უბნის ტერიტორიაზე დასაშვები ხმაურის დონე დადგენილია 70 dbA. | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |

| საქმიანობა | შესაძლო ზეგავლენა | შემარბილებელი ზომები | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა | |
|------------|---|---|------------------------------|--|
| | | | შემსრულებელი | მონიტორი |
| | წყლის მოგროვება და დრენაჟირება | სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი სახის სამუშაოებს, რომელიც მიმდინარეობს მდინარისა და ხიდების სიახლოვეს, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სამშენებლო მასალის ჩაყრა მდინარის კალაპოტში და სადრენაჟო სისტემებში. | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| | დროებითი შეფერხება მცირე საქმეებისა, რომელიც მდებარეობს გზასთან ახლოს | ჯიხურები/ხის დახლები, რომელიც გამოიყენება სოფლის პროდუქტებისა და ხორცის გასაყიდად, ადვილად შეიძლება აიწიოს და გადაადგილდეს სამშენებლო ადგილიდან მოშორებით. უნდა იქნას უზრუნველყოფილი ფიზიკური ძალა დახლების/ჯიხურების გადასაადგილებლად. | კონტრაქტორი | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |

მშენებლობის დაწყებამდე კონტრაქტორმა შემდეგი სახის მეთოდური განაცხადები და/ან გეგმები უნდა წარედგინოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და შესაბამის ორგანოებს დასამტკიცებლად: მშენებლობის დაწყებამდე კონტრაქტორმა საავტომობილო გზების დეპარტამენტს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს შემდეგი მასალა:

- 1) სქემატური რუქა, რომელზეც ასახულია სამშენებლო ობიექტის მთელი ტერიტორია და ზედ დატანილია:
 - (ა) კონტრაქტორის საყრდენი ბაზა,
 - (ბ) სამშენებლო მასალის დროებითი საწყობი ადგილები,
 - (გ) სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროებითი შეგროვების ადგილები,
 - (დ) სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების დგომის, მომსახურებისა და საწვავ-საპოხით გამართვის ადგილები,
 - (ე) სამშენებლო ობიექტთან მისასვლელი გზები,
 - (ვ) სამშენებლო ობიექტის შემოვლითი გზები მშენებლობის გამო გზაზე მოძრავი ტრანსპორტისთვის დროებითი შემოვლითი მარშრუტის უზრუნველყოფის საჭიროების შემთხვევაში.

- 2) სამშენებლო ობიექტზე უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნობმების უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ასახულია:
 - (ა) თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი ობიექტზე სასმელი და ტექნიკური წლის მიწოდება, საყოფაცხოვრებო ნაგვის შეგროვება-გატანა და საკანალიზაციო ნარჩენების მართვა;
 - (ბ) როგორ მოინიშნება სამშენებლო ობიექტი საგზაო და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნებით ავტოტრასპორტისა და ფეხმავალთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
 - (გ) როგორია ოპერატიული საპასუხო მოქმედებათა გეგმა მავნე ნივთიერებათა ავარიული დაღვრა-გაფანტვის, ხანძრის, ან უბედური შემთხვევის შედეგად მომუშავე პერსონალის დაშავების შემთხვევაში.

დანართი 2. გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმა

| ასპექტი | გასაკონტროლებელი პარამეტრები | მდებარეობა | მეთოდოლოგია | სამუშაოების შესრულების კალენდარული გრაფიკის დადგენა | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა მონიტორინგზე |
|--|--|---|--------------------------|---|--|
| სამუშაო უბნის ორგანიზება, ნებართვები და მტკიცებულებები | <p>ოფიციალური დამამტკიცებელი დოკუმენტის ფლობა ან ქმედუნარიანი ლიცენზია</p> <p>გარემოს დამცავი ორგანოს ნებართვის ფლობა სამუშაო უბნებზე მასზე დაფუძნებისათვის და სამუშაო ბანაკების მუშაობისათვის</p> | კონტრაქტორის ბაზა სამუშაო უბანზე | ინსპექტირება | უბნის სამუშაოების დაწყებამდე ან საშუალებების დამონტაჟებისას | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| კონტრაქტორის ეზო | <p>მყარი ნარჩენების დამამუშავებელი და გადამტანი საშუალებები,</p> <p>დრენაჟირების პირობები, სანიტარული საშუალებები და საკანალიზაციო წყლების გატანა, ჯანმრთელობისათვის საჭირო საშუალებები</p> | კონტრაქტორის ეზო | ინსპექტირება, დაკვირვება | მოულოდნელი ინსპექტირება მშენებლობის დროს | პროექტის მენეჯერი / საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| მასალის მოწოდება | <p>ოფიციალური დამამტკიცებელი დოკუმენტის ფლობა ან ქმედუნარიანი ლიცენზია</p> | მასალის მომწოდებლები (ცემენტი და ღორღი) | ინსპექტირება | სამუშაოს დაწყებამდე | დანადგარების ოპერატორი; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |

| ასპექტი | გასაკონტროლებელი პარამეტრები | მდებარეობა | მეთოდოლოგია | სამუშაოების შესრულების კალენდარული გრაფიკის დადგენა | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა მონიტორინგზე |
|------------------------------------|--|---|--|---|--|
| მასალის ტრანსპორტირება | სატვირთო მანქანები გადაფარებული /დასველებული ტრანსპორტი განრიგის მიხედვით და მარშრუტები, რომელიც განსაზღვრულია გადაზიდვებისათვის. | სამშენებლო უბანი | ზედამხედველობა | მოულოდნელი ინსპექტირება სამუშაო საათების დროს | სამუშაოს კონტრაქტორები; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |
| | მტვრის ემისია | საპროექტო გზის მთლიანი გაყოლება, მისასვლელი გზები და მშენებლობა | ვიზუალური ინსპექციები | მასალის გადაცემის დროს და პერიოდულად მშრალ ამინდში მშენებლობის დროს. | მიმოხილვა პროექტის მენეჯერი. |
| ნეშომპალიანი ნიადაგის აღება | ნიადაგის შენახვა (სწორი გადატანა და დაცვა ცუდი ამინდის პირობებში). აღდგენა (სწორი გადატანა) | სამშენებლო უბანი | ზედამხედველობა | პერიოდული(მოულოდნელი შემოწმებები სამუშაო საათების დროს); სამუშაოების დასრულება. | სამუშაოს კონტრაქტორები; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |
| სხვადასხვა სამშენებლო საქმიანობები | მძიმე აღჭურვილობის მოქმედებით გამოწვეული გამონაბოლქვი და სმაური მძიმე აღჭურვილობის გამოყენებისას წარმოქმნილი ვიბრაცია | ობიექტზე | ინსპექტირება, დაკვირვება და კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან, სმაურის გამზომი მოწყობილობები | პერიოდული ინსპექტირება (საშუალოდ კვირაში ერთხელ); შესაბამისი დასრულება; | სამუშაოს კონტრაქტორები; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |

| ასპექტი | გასაკონტროლებელი პარამეტრები | მდებარეობა | მეთოდოლოგია | სამუშაოების შესრულების კალენდარული გრაფიკის დადგენა | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა მონიტორინგზე |
|-------------------------|---|---|--|--|--|
| ხეების მოჭრა და აღდგენა | <p>ნებართვის მიღება გარემოს დამცავი ორგანოსაგან ხეების მოჭრაზე.</p> <p>მშენებლობის დასრულების შემდეგ ამოძირკვეული მცენარეების გატანა.</p> | სამშენებლო უბანთან ახლოს ან მის ტერიტორიაზე | ზედამხედველობა, ინსპექტირება | შემოწმების ნებართვა. | სამუშაოს კონტრაქტორები; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |
| ფაუნა | იხტიოფაუნის დაცვა წყლის დაბინძურების თავიდან აცილებით. | სამშენებლო უბანთან ახლოს ან მის ტერიტორიაზე | ზედამხედველობა, ინსპექტირება | ზედამხედველობა ა სამუშაო საათების დროს; მოულოდნელი ინსპექტირება | სამუშაოს კონტრაქტორები; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |
| საგზაო მოძრაობის მართვა | <p>საგზაო მოძრაობის მართვის გეგმის არსებობა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი მთავრობის მიერ</p> <p>საგზაო მოზრაობის გეგმის შესრულების უზრუნველყოფა. ტრანსპორტისა და ფეხმავალთა გადაადგილების საშუალების უზრუნველყოფა. ხილვადობის უზრუნველყოფა და გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნების განთავსება</p> | სამშენებლო უბანი | ინსპექტირება, გამოკვლევა და კონსულტაციები ახლომდებარე მოსახლეობასთან | <p>მშენებლობის წინ (საგზაო მოძრაობის გეგმა)</p> <p>მშენებლობის პერიოდის განმავლობაში (კვირაში ერთხელ, საღამოს)</p> | სამუშაოს კონტრაქტორები; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |

| ასპექტი | გასაკონტროლებელი პარამეტრები | მდებარეობა | მეთოდოლოგია | სამუშაოების შესრულების კალენდარული გრაფიკის დადგენა | ინსტიტუციური პასუხისმგებლობა მონიტორინგზე |
|--|---|------------------|---|---|--|
| მასალისა და ნარჩენების შენახვა და მართვა | სამუშაო უბნიდან გამდინარე წყალი. სამშენებლო მასალის შესანახი პირობები. ნარჩენების შენახვისა და განთავსების პრაქტიკა. დრენაჟი | კონტრაქტორის ეზო | ინსპექტირება, გამოკვლევა | მასალის გადაცემის და პერიოდულად მშენებლობის დროს(საშუალოდ კვირაში ერთხელ), განსაკუთრებით ნალექების დროს(წვიმა /თოვლი და ა.შ.) | სამუშაოს კონტრაქტორები; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |
| აღჭურვილობის მოვლა და საწვავით ავსება | განთავსების და მომსახურების პირობები საწვავის, საპოხი ზეთებისა და საღებავების შესანახის პირობები. დაღვრისგან დაცვა. | კონტრაქტორის ეზო | ინსპექტირება, გამოკვლევა | პერიოდულად მშენებლობის დროს (საშუალოდ კვირაში ერთხელ) განსაკუთრებით ნალექების დროს(წვიმა /თოვლი და ა.შ.) | სამუშაოს კონტრაქტორები; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |
| მუშახელის უსაფრთხოება | პერსონალის უსაფრთხოებისათვის საჭირო სათანადო აღჭურვილობის მოწოდება და გამოყენება | სამშენებლო უბანი | ინსპექტირება; გამოკვლევა და ინტერვიუები | მოულოდნელი ინსპექტირება მშენებლობის დროს | სამუშაოს კონტრაქტორები; დაკვირვება პროექტის მენეჯერი |

დანართი 3. საზოგადოებასთან ჩატარებული კონსულტაციის ოქმი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე გზების რეაბილიტაციის პროექტი

გზების ხარვაბილიტაციო სამუშაოთა განხორციელებისას
გარემოს მენეჯმენტის გეგმების საჯარო განხილვის

ოქმი

2010 წლის 20 აპრილს ჭიათურის მუციპალიტეტის გამგეობაში ჩატარდა ჭიათურა-უსახელეო-კორბოულის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე ხარვაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას გარემოს მენეჯმენტის გეგმის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვის მიზანი იყო დადგეგმილ სამუშაოთა უშუალო ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ამ სამუშაოთა არსის, ვადების, აგრეთვე განხილულ იქნა საკითხი სამუშაოთა მიმდინარეობისაგან მოსახლეობისთვის დროებითი უხერხულობის გაჩენის შესაძლელობის და სამუშაოების შესლელობასთან დაკავშირებული არასასურველი მოვლენების შესამცირებლად დაეგმილი ღონისძიებების შესახებ. გარემოს მენეჯმენტის გეგმების განხილვისას დამსწრე საზოგადოებას შესაძლელობა ჰქონდა დაესვა კითხვები და გამოეთქვა კრიტიკული მოსაზრებები გეგმების საბოლოო სახით წამოყალიბების დროს გათვალისწინების მიზნით.

| სახელი გვარი | ორგანიზაციის დასახელება |
|-----------------|--|
| ოთარ ხატიაშვილი | საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომელი |
| ლუიზა ბუბაშვილი | საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომელი |

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ კვითურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები და მოსახლეობის წარმომადგენლები.

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროექტების გარემოს მენეჯმენტის გეგმები დამსწრებს გააცნეს საავტომობილო გზების თანამშრომლებმა ოთარ ხატიაშვილმა და გარემოს დაცვის სპეციალისტმა ლუიზა ბუბაშვილმა.

შეხვედრა გახსნა ოთარ ხატიაშვილმა და დამსწრეთ მოახსენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ გზების მშენებლობის შესახებ. განხილული იქნა ასევე თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

გარემოს მენეჯმენტის გეგმების პრეზენტაცია გააკეთა ლუიზა ბუბაშვილმა. განხილულ იქნა პროექტთან დაკავშირებული საუშაოები, მათი შესაძლო ზემოქმედება გარემოზე და ადამიანების ჯანმრთელობაზე. განხილული იქნა შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას იძლევა მისაღებ მინიმუმადე იქნას დაყვანილი ყოველგვარი მავნე ზემოქმედება გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზაში.

პროექტის ტექნიკურ მხარეზე ინსუბრა და დასმულ შეკითხვებს უპასუხა ოთარ ხატიაშვილმა.

შეხვედრის მონაწილეთა მიერ დასმულ კითხვებზე და კომენტარებზე პასუხები გასცეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლებმა. კითხვები და პასუხები მოცემულია დანართში ცხრილი № 1-ის სახით.

თავმჯდომარის მოადგილე

გ. წერეთელი

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები:

ოთარ ხატიაშვილი

ლუიზა ბუბაშვილი

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროექტების გარემოზე ზემოქმედების მენეჯმენტის გეგმის საჯარო კონსულტაცია

| კითხვა/კომენტარის ავტორი | კითხვა/კომენტარის შინაარსი | კომენტარები |
|--------------------------|--|--|
| თენგიზ სამხარაძე | რა სარგებელი იქნება მოსახლეობას დასაქმების თვალსაზრისით | ადგილობრივ მოსახლეობას იქნება პრივილეგია შესაბამისი სამშენებლო კვალიფიკაციის ქონის შემთხვევაში და არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავებისას. |
| გონა ფხალაძე | ვისთან იქნება შუთანხმებული სამშენებლო ბანაკების განთავსების ტერიტორია? | სამშენებლო ბანაკების განთავსების ტერიტორია შუთანხმებული იქნება ადგილობრივ თვითმმართველობასთან. |

| სახელი გვარი | სოფელი, ორგანიზაცია | ხელისმოწერა |
|--|---|--|
| <p>მღვიმე ყმათაშვილი დავით შოთაძე მუხომანი სამხარაძე დავით ლომიძე ლიპიტხი ჭინაძე სერგო ჭაჭაძე ივანე აბულაძე ვაჟა მტკარიძე ნინო მჭედიაძე ეფთხიძე სიმონ სულხანიძე გიორგი თეოდოს სამხარაძე ვინო ვახუშაძე ფიჭუშვილი ვაჟა სულხანიძე თორნიკე ქაჯიანი ბატონი</p> | <p>ითხვისის ც.პ.თ ითხვისის ზ/შ მხკ.ნო ნიკოლოზის ც.შ მხკ.ნო ნიკოლოზ ც.შ.თ. ნიკოლოზ ც.შ.თ. საჩხვიძის ფ. შ.თ. მეხვიძის ც.შ.თ. ითხვისის ც.შ.თ. საჩხვიძის მეხვიძის მეხვიძის თეოდოს საჩხვიძის მეხვიძის მეხვიძის მეხვიძის</p> | <p>Handwritten signatures and initials corresponding to the names in the first column, including some with names written above them.</p> |

დანართი 4: ნებართვები და ხელშეკრულებები

ნარჩენების განთავსების ნებართვა

საქართველო



ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ჭიათურა ნინოშვილის 7 № 25-21-53, 25-21-70

Chiatura Ninoshvili 7, E-mail: chiatura@imereti.ge

GEORGIA

CHIATURA MUNICIPALITY BOARD

№ 284

„ 28 „ 12 „ 2012 წ.

ს.ს. „კავკასმაგისტრალი“-ს გენერალურ დირექტორს
ბატონ ვიქტორ მარშანიას

ბატონო ვიქტორ

ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული თქვენი №30.10 2012 წ. წერილის პასუხად, სადაც ითხოვთ ტერიტორიის გამოყოფას გრუნტის და სამშენებლო ნარჩენებისათვის გაცნობებით, რომ შეგიძლიათ ისარგებლოთ პერვესის ტერიტორიული ორგანოს სოფელ კალაურში საფეხურთო მოედნის ტერიტორიით, რომლის შემდგენაც უნდა მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის მოსწორება.

პატივისცემით

ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

სულხან მახათაძე

კარიერის ექსპლუატაციის ლიცენზია



საქართველო

გერმანიის ფედერაციის სამსახური

სახარგებლო წარმოსახვის მოძიების დაცეხისა

საბიურო 100902

ლიცენზიის უწყებრივ დასახელება რეკრუტირების განყოფილება

20_10 წლის 02 ივნისი

დასახელება შპს „მანიალითმშენი“ - ზგ

(ბუქსებიხეობეუთია ვაკე-საბურთალოს რაიონში

0.5-03.2002 წ., ს/კ 204279408)

შპს „ქეუქეუთაზე „სახეის“

ქიმიკატების მოძიების

ქიათეხში, სოფ. სახეის

და დასტურებს მისი შედეგების ეფუძნის წარმოადგენს

ლიცენზიის თანდართულ ტაბულურ ფურცელზე დასტოვო NN

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და 1


წერტილზე გამკვეთი სამსახურისათვის მისი კუთვნილების კონტრულის შიდასი, ხანძარილი წერტილუბის სახეის და მისი მკვეთ კონტრულებების ცხრილი

წარმოსახვილი დაცეხისათვის თანდართულ ტაბულურ ფურცელზე

სამსახურისათვის მისი კუთვნილების ეფუძნის დასტოვო

საქონი მოქმედი რეკრუტირების განყოფილება

ასფალტის წარმოების ნებართვა



საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000056

კოდი M D 1

" 25 " 08 " 2019წ.

- ნებართვის მიმღები სუბიექტი სს „ჯავახაშვიტომისტიკალი“
- საქმიანობის მიზანი ასფალტის წარმოება
- განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ქ. ჭიათურა
სახეობის ქ. N2
- დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია ი. შ. ზალო მოქმედებელი
- ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების
შეფასების ანგარიში
- ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა
N59; 23.08.2019წ
- ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით
ვათაღლისნიწებული პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიტენიუბისა და ნებართვის
სამსახურის უფროსი
ნიკოლოზ ჭახნაძე

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; დამამზადებელი: შპს „კაბადონი“
სფს-ს რეგისტრაციის N 10-2419